

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

აპრილი 2012

ბოულოს ლუქსემბურგის წინააღმდეგ [GC] - 37575/04

გადაწყვეტილება 3.4.2012 [GC]

მუხლი 6

სამოქალაქო პროცესი

მუხლი 6-1

სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები

ციხის საბჭოს განმეორებითი უარი, ადამინისტრაციულ სასამართლოებში გასაჩივრების უფლების გარეშე, პატიმრის დროებით გათავისუფლებაზე: არ არის დარღვევა.

ფაქტები – მომჩივანს შეეფარდა თხუთმეწლიანი პატიმრობა. 2003 და 2006 წლებში მან წარადგინა ექვსი მოთხოვნა დროებით გათავისუფლებაზე ("ციხიდან გათავისუფლება") კერძოდ იმ საფუძველზე რომ, მას სურდა განეხორციელებინა ადმინისტრაციული საქმეები და გაეწეო კურსები რათა მიეღო გარკვეული კვალიფიკაციები. მისი ყველა მოთხოვნა უარყოფილ იქნა ციხის საბჭოს მიერ. პირველ ორ უარზე მომჩივანმა წადარგინა საჩივარი სასამართლო განხილვისათვის ადმინისტრაციულ სასამართლოში, რომელმაც უარყო მოცემულ საჩივარზე განსჯადობა. მოცემული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ზემდგომმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ.

მის 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (იხილეთ საინფორმაციო დოკუმენტი no. 136) სასამართლოს პალატამ, ოთხი ხმით სამი წინააღმდეგ, დაადგინა, რომ ადგილი ქონდა მე-6 მუხლის დარღვევას იმის გამო, რომ საჩივრის სასამართლო განხილვის არსზე რაიმე გადაწყვეტილების არ არსებობამ გააუფასურა ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ ციხის საბჭოების გადაწყვეტილებების გადახედვის ეფექტი. მეტიც, ძალაში მყოფი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა პატიმრებისთვის რაიმე სხვა სახის სამართლებრივ დაკმაყოფილებას.

კანონი – მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი არ გამოიყენება მისი სისხლისსამართლებრივი დებულებებით, რადგან ციხის სისტემასთან დაკავშირებული პროცედურები არ ეხება "სისხლისსამართლებრივი ბრალდების" განსაზღვრის პრინციპს. შესაბამისად, სასამართლოს უნდა განეხილა

რამდენად მომჩივანს ქონდა "სამოქალაქო უფლება", რათა განესაზღვრა რამდენად მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პროცედურული გარანტიები ვრცელდებოდა ციხიდან გათავისუფლების შესახებ მისი მოთხოვნის პროცედურებს. უპირველესად სასამართლოს უნდა დაედგინა რამდენად მომჩივანს გააჩნდა ციხიდან გათავისუფლების "უფლება". ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს ციხიდან გათავისუფლებას როგორც ციხის დატოვების ნებართვას დღის გარკვეული ნაწილით ან ოცხდაოთხი საათის პერიოდით. ეს არის "პრივილეგია", რომელიც "შეიძლება მიენიჭოს" პატიმრებს გარკვეულ გარემოებებში. ნათელია რომ კანონმდებლის მიზანი გახდათ შეექმნა პრივილეგია, რომლის მიმართაც არანაირი სამართლებრივი დაკმაყოფილების მექანიზმი არ იქნებოდა გათვალისწინებული. კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები სარგებლობენ დისკრეციით იმაზე თუ რამდენად მისცენ თუ არა პირს გათავისუფლება, მიუხედავად იმისა თუ რამდენად პატიმარი ფორმალურად აკმაყოფილებს მოთხოვნილ კრიტერიუმებს. რაც შეეხება ადგილობრივი სასამართლოების მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა უარი თქვეს სასამართლო განხილვის საკითხზე მომჩივანების საჩივრის განსჯადობის არსებობაზე. შესაბამისად, მომჩივანს არ შეეძლო მოეთხოვა, დასაბუთებული საფუძვლებით, რომ მას გააჩნდა "უფლება" აღიარებული ადგილობრივ სამართლებრივ სისტემაში.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ აღიარა პატიმრობა შეფარდებული პირების პროგრესული სოციალური რეინტეგრაციის პოლიტიკის ლეგიტიმური მიზანი, არც კონვენცია და არც მისი ოქმები ნათლად არ ითვალისწინებენ ციხის დატოვების უფლების არსებობას. იგივეა მართალი საერთაშორისო სამართლის შესაძლო პრინციპთან მიმართებაში. საბოლოოდ, არანაირი კონსენსუსი არ არსებობს წევრ ქვეყნებს შორის ციხიდან გათავისუფლების სტატუსთან დაკავშირებით და მისი გაცემის პროცედურებთან მიმართებაში. ნებისმიერ შემთხვევაში მოპასუხე სახელმწიფო იყო შორს იმისგან, რომ ყოფილიყო განსხვავებული პატიმრების საცხოვრებლის შეცვლასთან დაკავშირებით, როგორც ეს იქნა წარმოდგენილი ციხიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით და იმ საკანონმდებლო რეფორმასთან მიმართებაში, რომელიც მოსალოდნელი იყო სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებით.

ყველა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომჩივანის მოთხოვნები არ იყო დაკავშირებული "უფლებასთან", რომელიც აღიარებულია აღიარებულს ლუქსემბურგის სამართალსა ან კონვენციაში. შესაბამისად, მე-6 მუხლი არ გამოიყენებოდა.

დასკვნა: არ არის დარღვევა (თხუთმეტი ხმა ორის წინააღმდეგ).

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.

Click here for the [Case-Law Information Notes](#)